დიდება ჩვენს სახელოვან მეჩაიეებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 256 (12768) | პარასკევი, 1 ნოემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.



მაღალი შეფასება

... საქართველოს სსრ მეჩაიეებს ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საძმეში, ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის კარგ მაგალითს იძლევიან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულთადად ულოცავენ საქართველოს სსრ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ჩაის მრეწველობის მუშებს, საწარმოო სამმართველოებს, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაკებს, ყველა მშრომელს მიღწეულ შრომითს გამარჯვებას და გამოთქვამენ რწმენას, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები ასევე წარმატებით შეასრულებენ სახელმწიფოსათვის მარცვლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის ვალდებულებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებიდან.

186.000

ზრიალებენ ვალმოხდილი ჩაის ბუჩქები. ზღვიდან მონაბერი გრილი ნიავი ეალერსება, მზის სხივიც ეცინცინება, რომ ნათელი შარავანდედით შემოსოს ეს დიდებული, რესპუბლიკის სიმდიდრის მომტანი თავხუმუა მცენარეები.

ვუმზერთ ხავერდოვან პლანტაციებს და გულიდან ამორბიან მადლობის სიტყვები მათი შემქმნელი ხელმარჯვე ადამიანების სადიდებლად, გმირი ხალხისა და პარტიის სადიდებლად.

— 186 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, — უბრალოდ ვამბობთ, და ფიქრში ვიმეორებთ: — რა დიდი გამარჯვებაა!

მართლაც საამაყო, მეტად სასიხარულოა ამ რიცხვების გახსენება ახლა, როცა მთელი ქვეყანა ეგებება დიად ოქტომბერს. რა დაგვიფიყეს იმ მკრეფავებს, „მწვანე ოქროთი“ რომ ასახელეს საქართველო!

მათი სახელი ურიცხვია ვაზისა და ვარდის, ჩაისა და ნარინჯის მზიურ ქვეყანაში. უბირველესად მაინც ვახსენოთ შუქურები, ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ვეტერანები — ხატიჯე კაკაბაძე და თამარ უუფუნია, რეკორდსმენი მკრეფავების სახელოვანი პლეადა — ტატიანა ჩხაიძე, დარეჯან ტაკაძე, ანმაო ჯიჯავაძე, ტატიანა ტუეებუჩავა, გული ავიძა, მართა სტოიკინა, ფოთლის კრეფის ძველი ოსტატების საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილი ახალი თაობის ღირსეული წარმომადგენლები — ნარა გოგატაძე, ნორა პაკელიანი, ლეილა მაღულარია, მაყვალა ჯინჭარაძე, დალი წიფწიფაძე, ოლია უშვერიძე, ნაზი კვირიკაშვილი და ათასობით გმირი მკრეფავი ახალგაზრდა.

აბა ვინ მოთვლის რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკების მოწინავე ადამიანებს, წარმოების ნოვატორებს, რომელთა თავდადებული შრომით საქეიფოდ გაითქვა სახელი „საქართველოს თაიგულმა“.

ქებით, მადლობით, თბილი სიტყვით უნდა მოვიგონოთ ჩვენი მეცნიერი მუშაკები, ინჟინრები, ვინც დაუღალავი შემოქმედებითი ძიებით შექმნა მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანა.

ზეიმური იყო თქვენი გამარჯვება, ჩვენო ძვირფასო მეჩაიეებო, და კვლავაც საზეიმო იქნება მომავალ წლებში. დიე თქვენი მაგალითი მისაბაძად აქციოს ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელმა.

დიდება თქვენ, ჩაის ფოთლის მაღალი მოსავლის ოსტატებო!

ნ. ს. ხრუშჩოვი.

დღეს ბათუმში გაიხსნება ჩაის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირი

მხურვალე სალამი თათბირის მონაწილეებს!

ჩაი, რომელსაც საქართველოში, ამერიკაში, გენ. საუკეთესო ჩაია მსოფლიოში. ... დამეთანხმებით, რომ ეს მარტო კლიმატური პირობებით არ აიხსნება. ბევრ სხვა ქვეყანას ხომ არა უარესი, არამედ შესაძლოა, უკეთესი კლიმატური პირობებიც ჰქონდეს ჩაის მოსაყვანად, ვიდრე საქართველოს. თქვენი ჩაის მაღალ ხარისხს მე მიწათმოქმედების კულტურით ვხსნი.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

---

3. პ. მჟავანაძემ მიიღო ბულგარეთის სახალხო კრების დელეგაცია

გუშინ, 31 ოქტომბერს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ მიიღო ბულგარეთის სახალხო კრების დელეგაცია, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში იმყოფება.

მიღებაზე იყვნენ დელეგაციის წევრები ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბორის ველჩევის მეთაურობით.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, მთელი ქართველი ხალხის სახელით გულთბილად მიესალმა ბულგარელ პარლამენტარებსა და მათი სახით ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც თავდადებით იბრძვიან მშვიდობისა და სოციალიზმის აშენებისათვის. მან სალამი გადასცა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებსა და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ტოდორ ჟივკოვს.

ვ. პ. მჟავანაძესა და დელეგაციის წევრებს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელმაც განსაკუთრებული გულთადობის ვითარებაში ჩაიარა.

ამხ. ბორის ველჩევმა ვ. პ. მჟავანაძესა და მისი სახით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს, მთელ ქართველ ხალხს გადაუხადა მადლობა იმ გულითადი სტუმართმოყვარეობისათვის, რაც ბულგარეთის სახალხო კრების დელეგაციას გაუწიეს ქართულ მიწა-წყალზე.

ჩვენ ყველგან ვიყავით გარემოსილი განსაკუთრებული უურადღებითა და გულითადობით, — თქვა ბორის ველჩევმა. — და ეს გასაგებიცაა. ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთობა მუდამ იყო კრისტალურად სუფთა, როგორც ამჟამად, ისე წარსულშიაც. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას შორის, ჩვენი ქვეყნების მთავრობებს შორის შეხედულებათა სრული ერთობაა როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ხასიათის ყველა საკითხზე, კერძოდ, მშვიდობისათვის ბრძოლის, მშვიდობიანი თანაარსებობის, კომუნიზმის მშენებლობის გზების საკითხზე.

სულთა და გულით ვხარობთ ქართველი ხალხის წარმატებათა გამო, — თქვა შემდეგ ბულგარეთის პარლამენტის დელეგაციის მეთაურმა. — კიდევ უფრო ნათელია თქვენი პერსპექტივები, მთელი ხალხის ხალხის პერსპექტივები, რომლებიც ასე მკაფიოდ აღბეჭდილია პარტიის პროგრამაში, და ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ პარტიის დიადი წინასწარმეტყველებანი განხორციელდება.

მიღებაზე იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. სპირიდონოვი. დამსწრეთა შორის იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დ. გ. სტურუა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ა. ა. გიგოშვილი და პ. გ. ველბახიანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ მინისტრი ი. ს. მიქელაძე. (საქდესი).

ჩვენი სტუმრები

ორ დღეს იმყოფებოდა საქართველოში ბულგარეთის სახალხო კრების დელეგაცია, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით. ჩვენს ქვეყანაში ამ დელეგაციის ყოფნა გადაიქცა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის დემონსტრაციად.

31 ოქტომბერს დილიდან ბულგარეთის ხალხის წარმომადგენელნი განგარძობდნენ საქართველოს გაცნობას. დელეგაცია რუსთავში გაემგზავრა. ქალაქის კარიბჭესთან მას გულთბილად მიესალმნენ პიონერის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. პ. ებრალიძე, სოზოგადოებრიობის წარმომადგენელნი. მათ სტუმრები მეტალურგიულ ქარხანაში მიიწვიეს.

დელეგაციის წევრები ყურადღებით უსმენდნენ ქარხნის მთავარ ინჟინერს გ. პ. ქერდიანს. მან ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ შეიქმნა საწარმო, რა პროდუქციას უშვებენ ქართველი მეტალურგები. პარლამენტარები მეტად დაინტერესა ქარხნის მუშობამ, წარმოების ტექნოლოგიამ.

— ბულგარეთში ჩვენც ვაშენებთ მეტალურგიულ კომბინატს, — თქვა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბორის ველჩევმა. — ეს საწარმო ჩვენი ეროვნული სიამაყეა. ამიტომ გვაინტერესებს გავიზიაროთ თქვენი გამოცდილება.

მარტენის საამქროში ბულგარელი ამხანაგები ესაუბრნენ მუშებს, სპეციალისტებს, თვალყურს ადევნებდნენ ფოლადის გამოდნობასა და ჩამოსხმას. მათ დიდი ყურადღებით დათვალიერეს მალსაგლინავი საამქრო.

მეტალურგთა ჯგუფს დგანი „400-“ის კომპლექსური ავტომატიზაციისათვის ლენინური პრემია მიენიჭა. საამქროს უფროსმა პ. ა. წერეთელმა, რომელსაც აგრეთვე სხვებთან ერთად მიენიჭა საპატიო პრემია, ბულგარელ მეგობრებს გააცნო საწარმოს ნოვატორთა შემოქმედებითი გეგმები.

ბულგარელი პარლამენტარები ძმურად დაეშმშვდობნენ ქარხნის მუშებსა და სპეციალისტებს, რომლებმაც თხოვეს გადასცენ ბულგარელ მშრომელებს მათი უგულითადესი სალამი.

თბილისში დაბრუნების შემდეგ დელეგაცია მცხეთას გაემგზავრა. აქ სტუმრებმა დათვალიერეს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები.

საღამოს ბულგარეთის პარლამენტარების დელეგაცია სოხუმს გაემგზავრა.

დელეგაციასთან ერთად გაემგზავრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. სპირიდონოვი, ავრეთვე ბულგარეთის ელჩი საბჭოთა კავშირში სტოიან ტარაჯოვი.

ვოკზალზე საპატიო სტუმრებს აცილებდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე რ. რ. დვალი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დ. გ. სტურუა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ა. სალუქვაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები თ. გ. ბაღოროშვილი, გ. გ. აბაშიძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გიგოშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები დ. ვ. მჭედლიშვილი, ლ. ა. საყვარელიძე, თ. ვ. ლაშქარაშვილი, ო. ი. ლოლაშვილი, პ. გ. ველბახიანი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. მიქელაძე, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენელნი.

ბულგარელ მეგობრებს სიტყვით მიმართა რ. რ. დვალმა. საქართველოში ყოფნის დროს, — თქვა მან, — თქვენ შეგეძლოთ დარწმუნებულიყავით, თუ რა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით არიან გამსჭვალული საბჭოთა ადამიანები ბულგარელი ხალხისადმი, გთხოვთ გადასცეთ ბულგარელ მშრომელებს, რომ ჩვენ ყოველივე კარგს ვუსურვებთ მათ.

სპასუხო სიტყვა წარმოთქვა ბორის ველჩევმა. ბულგარეთის სახალხო კრების დელეგაციამ, — განაცხადა მან, — ორი ძალიან სასიამოვნო დღე გაატარა მოძმე საქართველოს რესპუბლიკაში. სანამ გამოგეთხოვებოდეთ, სანამ ახალ შეხვედრას ვისურვებდე, ნება მომეცით საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს გადავცე დელეგაციის ყველა წევრის უდიდესი მადლობა გულთბილი, ძმური სტუმართმოყვარეობისათვის, დიდი ყურადღებისათვის ჩვენდამი, ბულგარელი ხალხის წარმომადგენლებისადმი.

ვოხოვთ ჩვენი მადლობა გადასცეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის პრეზიდიუმსა და პირადად ვ. პ. მჟავანაძეს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 46-წლისთავის წინ, თქვა დასასრულ ბულგარეთის პარლამენტარების დელეგაციის მეთაურმა, — ბულგარეთის მშრომელთა სახელით, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, ბულგარეთის სახალხო კრების სახელით ახალ დიდ წარმატებებს ვუსურვებ ქართველ ხალხს კომუნისტურ მშენებლობაში. დიე ყველადეს ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა. (საქდესი).

ბულგარეთის პარლამენტარების დელეგაცია საქართველოში

ლენინური პრემია მიენიჭა. საამქროს უფროსმა პ. ა. წერეთელმა, რომელსაც აგრეთვე სხვებთან ერთად მიენიჭა საპატიო პრემია, ბულგარელ მეგობრებს გააცნო საწარმოს ნოვატორთა შემოქმედებითი გეგმები.

ბულგარელი პარლამენტარები ძმურად დაეშმშვდობნენ ქარხნის მუშებსა და სპეციალისტებს, რომლებმაც თხოვეს გადასცენ ბულგარელ მშრომელებს მათი უგულითადესი სალამი.

თბილისში დაბრუნების შემდეგ დელეგაცია მცხეთას გაემგზავრა. აქ სტუმრებმა დათვალიერეს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები.

საღამოს ბულგარეთის პარლამენტარების დელეგაცია სოხუმს გაემგზავრა.

ბულგარელ მეგობრებს

ბულგარეთის ხალხის სახელით ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბორის ველჩევის მეთაურობით.

31 ოქტომბერს დილიდან ბულგარეთის ხალხის წარმომადგენელნი განგარძობდნენ საქართველოს გაცნობას. დელეგაცია რუსთავში გაემგზავრა. ქალაქის კარიბჭესთან მას გულთბილად მიესალმნენ პიონერის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. პ. ებრალიძე, სოზოგადოებრიობის წარმომადგენელნი. მათ სტუმრები მეტალურგიულ ქარხანაში მიიწვიეს.

დელეგაციის წევრები ყურადღებით უსმენდნენ ქარხნის მთავარ ინჟინერს გ. პ. ქერდიანს. მან ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ შეიქმნა საწარმო, რა პროდუქციას უშვებენ ქართველი მეტალურგები. პარლამენტარები მეტად დაინტერესა ქარხნის მუშობამ, წარმოების ტექნოლოგიამ.

— ბულგარეთში ჩვენც ვაშენებთ მეტალურგიულ კომბინატს, — თქვა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბორის ველჩევმა. — ეს საწარმო ჩვენი ეროვნული სიამაყეა. ამიტომ გვაინტერესებს გავიზიაროთ თქვენი გამოცდილება.

მარტენის საამქროში ბულგარელი ამხანაგები ესაუბრნენ მუშებს, სპეციალისტებს, თვალყურს ადევნებდნენ ფოლადის გამოდნობასა და ჩამოსხმას. მათ დიდი ყურადღებით დათვალიერეს მალსაგლინავი საამქრო.

3. პ. მჟავანაძე

მეტალურგთა ჯგუფს დგანი „400-“ის კომპლექსური ავტომატიზაციისათვის

ბულგარელ მეგობრებს

ბულგარელ მეგობრებს სიტყვით მიმართა რ. რ. დვალმა. საქართველოში ყოფნის დროს, — თქვა მან, — თქვენ შეგეძლოთ დარწმუნებულიყავით, თუ რა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით არიან გამსჭვალული საბჭოთა ადამიანები ბულგარელი ხალხისადმი, გთხოვთ გადასცეთ ბულგარელ მშრომელებს, რომ ჩვენ ყოველივე კარგს ვუსურვებთ მათ.

სპასუხო სიტყვა წარმოთქვა ბორის ველჩევმა. ბულგარეთის სახალხო კრების დელეგაციამ, — განაცხადა მან, — ორი ძალიან სასიამოვნო დღე გაატარა მოძმე საქართველოს რესპუბლიკაში. სანამ გამოგეთხოვებოდეთ, სანამ ახალ შეხვედრას ვისურვებდე, ნება მომეცით საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს გადავცე დელეგაციის ყველა წევრის უდიდესი მადლობა გულთბილი, ძმური სტუმართმოყვარეობისათვის, დიდი ყურადღებისათვის ჩვენდამი, ბულგარელი ხალხის წარმომადგენლებისადმი.

ბ. ველჩევი

ვოხოვთ ჩვენი მადლობა გადასცეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის პრეზიდიუმსა და პირადად ვ. პ. მჟავანაძეს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 46-წლისთავის წინ, თქვა დასასრულ ბულგარეთის პარლამენტარების დელეგაციის მეთაურმა, — ბულგარეთის მშრომელთა სახელით, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, ბულგარეთის სახალხო კრების სახელით ახალ დიდ წარმატებებს ვუსურვებ ქართველ ხალხს კომუნისტურ მშენებლობაში. დიე ყველადეს ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა. (საქდესი).

სსრ კავშირ-ცეილონის ერთოგლივი კომუნიკე

21-დან 31 ოქტომბრამდე საბჭოთა მთავრობის მოწვევით საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა ცეილონის პრემიერ-მინისტრი, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრი სირიმავო რ. დ. ბანდარანაიკე. როგორც კომუნიკეშია აღნიშნული ცეილონის პრემიერ-მინისტრსა და მის თანმხლებ პირებს სსრ კავშირში მოგზაურობის დროს ყველგან გულთბილად და გულღიად ხვდებოდნენ.

ცეილონის პრემიერ-მინისტრს სირიმავო ბანდარანაიკეს შეხვედრები და საუბრები ჰქონდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვთან და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევთან.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბრებში მონაწილეობდნენ აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი და სსრ კავშირის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწენი.

შეხვედრებისა და საუბრების მსვლელობაში, რომლებიც გულითადი მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, ერთმანეთს გაუზიარეს აზრები მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებდა, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ცეილონის ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საკითხებზე.

საბჭოთა კავშირისა და ცეილონის მთავრობები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირისა და ცეილონის ურთიერთობა, რომელიც მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს ემყარება, ნამდვილად მეგობრული ხასიათისაა. ორივე მხარემ განაცხადა, რომ მზად არიან თავიანთ ურთიერთობაში კვლავაც ამ კეთილშობილური პრინციპებით იხელმძღვანელონ. აზრთა გაზიარების დროს გამოვლინდა შეხედულებათა ერთობა თანამედროვეობის ისეთ დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე, როგორიცაა საყოველთაო და სრული განიარაღება, ბრძოლა კოლონიალიზმის სრული და უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის, სადავო საკითხების მოლაპარაკების გზით მოწესრიგებისათვის.

ორივე მხარეს მიაჩნია, რომ ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ იგი შეზღუდული ხასიათისაა, დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტია.

ცეილონის მთავრობა მხარს უჭერს საბჭოთა მთავრობის წინადადებას, რომელიც მან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVIII სესიაზე წამოაყენა იმის შესახებ, რომ 1964 წლის პირველ კვარტალში ან პირველ ნახევარში მოწვეულ იქნეს იმ სახელმწიფოთა თათბირი, რომლებიც 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში შედიან და ამ თათბირში მონაწილეობა მიიღონ უმაღლესი დონის ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა.

საბჭოთა მთავრობა, ნათქვამია კომუნიკეში, დიდად აფასებს ცეილონის მთავრობისა და პირადად პრემიერ-მინისტრ სირიმავო რ. დ. ბანდარანაიკეს წვლილს სადავო საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგების საქმეში და აცხადებს, რომ იგი მხარს უჭერს ცეილონის მთავრობის ღონისძიებებს აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში. კერძოდ, საბჭოთა მხარეს მიაჩნია, რომ ექვსი მიუმხრობელი ქვეყნის კონფერენციამ, რომელიც ცეილონის ინიციატივით მოწვეულ იქნა ჟენევაში ინდოეთ-ჩინეთის სასაზღვრო კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის ხელის შეწყობის მიზნით, დადებითი როლი შეასრულა აზიის მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ცეილონის პრემიერ-მინისტრმა სირიმავო რ. დ. ბანდარანაიკემ ცეილონის მთავრობის გულწრფელი აღფრთოვანება გამოთქვა საბჭოთა მთავრობისა და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვის უდიდესი წვლილის გამო დაძაბულობის შენელების საქმეში.

საბჭოთა კავშირისა და ცეილონის სახელმწიფო მოღვაწეთა საუბრებში ორივე მთავრობამ დაადასტურა, რომ ისინი მზად არიან ყველაფერი იღონონ საბჭოთა კავშირ-ცეილონის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის მეგობრობის, თანასწორობის, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების საფუძველზე.

ცეილონის პრემიერ-მინისტრმა სირიმავო რ. დ. ბანდარანაიკემ ნ. ს. ხრუშჩოვი და ნ. პ. ხრუშჩოვა ცეილონში მიიწვია. ეს მიწვევა მადლობით იქნა მიღებული. ვიზიტის დრო დამატებით შეთანხმდება.

ერთობლივ კომუნიკის 1963 წლის 28 ოქტომბერს მოსკოვში ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და ცეილონის პრემიერ-მინისტრმა სირიმავო რ. დ. ბანდარანაიკემ. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა დასვენების დღე, კვირიდან, 1963 წლის 10 ნოემბრიდან გადაიტანოს შაბათის 9 ნოემბერს.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლის სოლისტებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ქოროგრაფიის განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლის სოლისტებს:

1. ბასილაშვილს დავით გიორგის-ძეს;
2. ბუაძეს ანზორ ვასილის-ძეს;
3. დოლიძეს ელენე გიორგის ასულს;
4. ენუქიძეს რუსუდან ივანეს ასულს;
5. კლდიაშვილს ნოდარ იოსების-ძეს;
6. კირვალიძეს ნინო მიხეილის ასულს;
7. მხეიძეს ომარ აკაკის-ძეს;
8. ნასყიდაშვილს ოთარ სამსონის-ძეს;
9. სალუქაშვილს ვახტანგ ილიას-ძეს;
10. სუხიშვილს თენგიზ ილიას-ძეს;
11. ჯიბლაძეს გიორგი სტეფანეს-ძეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი, 1963 წლის 29 ოქტომბერი.

ჩაის კრეფის დიდოსტატები

სიუხვის ესტაფეტა

ოცდაათი წლის წინათ დაიწყო ჩაის ფოთლის კრეფაში რეკორდების დამყარება ინგირელმა ქიონია სარსანიამ. შემდეგ ეს გვარი ოცდახუთი წლის მანძილზე არ მოსცილებია რაიონული თუ რესპუბლიკური, აგრეთვე საკავშირო პრესის ფურცლებს, მის შესახებ ბევრს გაიგონებდით რადიოთიც.

სწორედ მან, ქიონია სარსანიამ აიტაცა სიუხვის ესტაფეტა და კარგახანს სახელოვნად ატარა იგი. ამიტომ უბრწყინავს მკერდზე სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი და ლენინის ოთხი ორდენი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ნიშანი, შრომის წითელი დროშის ორდენი.

კარგა ხანია სამოც წელს გადაბიჯა ქიონიამ, მაგრამ მაინც არ ისვენებს. ინგირელი ზაგლადა კვლავ შრომის ფერხულშია. ოცდათერთმეტი წლის მანძილზე ქიონიას 250 ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი აქვს მოკრეფილი. თურმე თვითეული კილოგრამის მოსაკრეფად თითების ორი ათასზე მეტი მოძრაობა არის საჭირო. თუ ეს ასეა, ქიონიას

კილოსალური ენერგია დაუხარჯავს, რომ შრომითი დიდებისათვის მიეღწია.

ასეა — უშრომლად არაფერი არ კეთდება. ეს კარგად იცის ხანდაზმულმა მეჩაიემ, და ახლაც არ ისვენებს. წელს ნაცვლად 1.500 კილოგრამისა ორი ათას კილოგრამამდე ფოთოლი მოკრიფა.

რეკორდების ესტაფეტა კი რამდენი ხანია ახალსოფლელ თამარ ყუფუნიას გადასცა. სიუხვის ესტაფეტა საიმედო ხელში აღმოჩნდა. ახალსოფლელმა რეკორდსმენებმა არა მარტო სოფელი, არამედ მთელი რაიონი ასახელეს. ამ სოფელში თექვსმეტი სოციალისტური შრომის გმირი აღიზარდა, ხოლო თამარ ყუფუნიამ ორგზის დაიმსახურა ეს მაღალი ჯილდო.

თავისი მასწავლებლის ქიონია სარსანიას მსგავსად თ. ყუფუნიასაც 250 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი აქვს მოკრეფილი. თამარსაც შეეპარა თმაში ჭაღარა, მაგრამ გული ახალგაზრდული და ხელებიც დაუღალავი აქვს. ახალსოფლელი ბრიგადირი რეკორდსმენებს ზრდის. მისი ბრიგადის მერგოლურმა ლუბა სახოკიამ უკვე დაამყარა რეკორდი და სოციალისტური შრომის გმირობაც დაიმსახურა. წელს 0,4 ჰექტარზე 6.100 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, გულიკო ყუფუნამ კი — 5.400 კილოგრამი. დები მზია და ლამარა ფეტელავები, ცაცა ბერაია, ნინო კარბაია... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ! ყველა რეკორდსმენობისათვის ემზადება.

თამარ ყუფუნიამ სწორედ ამ ახალგაზრდებს გადასცა სიუხვის ესტაფეტა. ბრიგადირის სასახლო შრომითი საქმეებით აღფრთოვანებულმა ახალგაზრდებმა მტკიცედ ჩასჭიდეს ხელი გმირული შრომის ესტაფეტას და წინ მიიწევენ!

მოუღლელი ხელები აქვს ცხაკაიას რაიონის ზანის კოლმეურნეობის მეჩაიეს ტატიანა ტყებუჩავას. თამარ ყუფუნიასავით მასაც თმაში თეთრი შეპარვია, მაგრამ ჯანგაუტეხელი და გამრჯე ქალის მარჯვენა კვლავ სიუხვეს ქმნის. 0,9 ჰექტარზე წელს 12.700 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა. ერთხელ რესპუბლიკურ გაზეთში ტატიანას მხატვარმა მეგობრული შარჟი უძღვნა. დაფის გვირგვინით დამშვენებული კვარცლბეკის პირველ ადგილზე იდგა ზანელი მეჩაიე. წელსაც არავის დაუთმო ეს ადგილი. თუმცა კვალდაკვალ მიაყვებიან თავისი სკოლის გამრჯე გოგონები...

— ორ-სამ წელიწადს კიდევ არავის გადავცემ ესტაფეტას. მერე კი აგერ არიან ჩემი ჭერცხალა გოგონები — ოლა, ანტოლინა, — რატომ მერცხალა? — შეაწყვეტინა ვიღაცამ.

— ჩემი გოგონები სწორედ მერცხლებივით გაზაფხულზე, აპრილში მოედებიან პლანტაციებს და თვალს მაშინ მიეფარებიან, როცა მერცხლები თბილ ქვეყნებს მიაშურებენ. ზაფხულის გმირული შრომის შემდეგ სწავლას იწყებენ.

საქართველოს გმირი მეჩაიეების ესტაფეტას სტარტი ინგირში, ახალსოფელში ან ზანაში როდი მიეცა. სტარტზე არიან მახარაძელი, ჩაქველი, ლანჩხუთელი, გალელი, წყალტუბოელი მეჩაიეები.

ესტაფეტა ახლა საიმედო ხელშია. იგი მიაქვთ რესპუბლიკის ახალგაზრდა მეჩაიეებს. მათი მომდევრები საქართველოში ასობით და ათასობით არიან. მეჩაიეთა ძველი გვარდიის ესტაფეტა ძლევამოსილად მიიწევს წინ. იგი მიაქვთ საქართველოს მეჩაიეებს!

დიდება მათს შრომას!

ვ. გოზალიშვილი.

* * *

სურათებზე: (მარჯვნივ) ც. ბერაია, ნ. კარბაია, თ. ყუფუნია, მ. ფეტელავა, ლ. სახოკია, ლ. ფეტელავა, მარცხნივ კი სახელგანთქმული მეჩაიის თამარ ყუფუნიას მოუღლელი ხელებია.

186.000

ჩაის კრეფდა მთელი საქართველო

საქართველოს მეჩაიეთა გამარჯვება დღეს საქვეყნოდ ცნობილი გახდა. ენერგიული, თავდადებული შრომით მიაღწიეს მათ ამ წარმატებას. ამ დიდ და სასახელო შრომაში მეჩაიეებს მხარში უდგნენ მთელი საქართველოს მშრომელები, ახალგაზრდობა. ჩაის კრეფის გადამწყვეტ დღეებში მეჩაიეობის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დასახმარებლად მიეშურებოდნენ სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული მოსწავლეები, სტუდენტები.

მარტო ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ჩაის კრეფის სეზონში ასობით მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა მუშაობდა. ისინი ორგანიზებულად, პედაგოგ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით ჩამოვიდნენ მეურნეობაში და დილიდან საღამომდე მუყაითად მუშაობდნენ.

განსაკუთრებით ისახელეს თავი ბაკურციხის, დიდი ჯიხაიშის, ბოლნისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეებმა, აგრეთვე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებმა.

ჩაის კრეფის სეზონში ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდა დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის 150 მოსწავლე. დაპირების მიხედვით მათ 83 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი უნდა მოეკრიფათ, ფაქტიურად 344 ტონა მოკრიფეს და დავალება 414,4 პროცენტით შეასრულეს. ზოგი ახალგაზრდა ისე გაიწოდა კრეფაში, რომ გამოცდილ მკრეფიველს არ ჩამოუვარდებოდა. საშუალოდ თვითეულმა ჯიხაიშელმა მოსწავლემ 2.293 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა.

მათ არც ბაკურციხელი და ბოლნისელი ახალგაზრდები ჩამორჩენენ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა ახალგაზრდებმა მარტო ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მოკრიფეს 731,5 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

მთელი საქართველო კრეფდა ჩაის ხარისხოვან ფოთოლს. სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი ერთი მიზნით იყო გამსჭვალული — რაც შეიძლება მეტი „მწვანე ოქრო“ მიეცა სამშობლოსათვის... წარმატებით შესრულებულიყო ვალდებულება შეიდწლედის ახალი ზღუდეების დასაპყრობად.

შედეგიც სასახელოა... მოკრეფილია და სახელმწიფოს მიეყიდა 186.000 ტონა ჩაის ფოთოლი.

ბ. ჩხაიძე.

ოლია უშვერიძე და მისი მოწაფეები

გუმბრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას ამ ექვსიოდე წლის წინათ მოკრძალებით მიმართა ახალგაზრდა ქალმა ოლია უშვერიძემ.

— ცალკე ნაკვეთი მომანაგრეთ, მეც ვცდი შევეჯიბრო ჩაის ფოთლის კრეფის ოსტატებს.

უნდა გენახათ მაშინ, რა სერიოზული სახე ჰქონდა ოლიას. როცა მისი თხოვნა დააკმაყოფილეს, მტკიცე გადწყვეტილებით წავიდა სახლში, სადაც პატარა გაჟიშვილი, მეუღლე და მშობლები ელოდებოდნენ.

ნახევარა ჰექტარი არც ისე უხვმოსავლიანი მიწის ნაკვეთი შეხვდა ოლიას. მაგრამ თავიდანვე თვალისჩინებივით შეუდგა მის მოვლა-დამუშავებას. ამხელა ფართობის მოვლას წლიურად ხომ 175-200 კაც-დღე ესაჭიროება. ოლია სიძნელეს არ შეუშინდა. სულ მალე ნაკვეთი სხვაზე უფრო უხვმოსავლიანი გახადა.

შეიდწლედის მეხუთე წლის მიჯნაზე ო. უშვერიძემ ახალი პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინა. ივნისის დასაწყისიდან წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს თანამოსაქმეებს მიმართა მოწოდებით: — თვითეულ მეჩაიეს 300 კილოგრამით მეტი ჩაის ფოთოლი მოეკრიფა შარშანდელთან შედარებით.

კარგ წამოწყებას მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა. „მწვანე ოქროს“ სიუხვისათვის ლაშქრობაში მაგალითი კვლავ ოლიამ აჩვენა. მან 7.853 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, გეგმა კი 2.500 კილოგრამს თვალისწინებდა.

ოლიას მოწაფეებმა კვილიშორის კოლმეურნეობაში **ქსენია კუხალეიშვილმა** მოკრიფა 7.185 კილოგრამი, **თამარ და გოგუცა გოგიძეებმა** — 5.534 — 5.256 კილოგრამი, ციონის კოლმეურნეობაში **გუგული ტუსკაძემ** — 6.794 კილოგრამი „მწვანე ოქრო“, **ნათელა ჯიმშელეიშვილმა** (ცხენჯაურის კოლმეურნეობა) — 3.200 კილოგრამი, ახალსოფლის კოლმეურნე მეჩაიემ **ნინო ცქიფურიშვილმა** კი — 5.700 კილოგრამი.

ერთიერთ შეჯიბრებაში იქნდება ახალ-ახალი შრომითი წარმატებანი. კომკავშირელმა **მაგული ტუსკაძემ** (ცხენჯაურის ორგონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა) 0,3 ჰექტარზე მოკრიფა 3.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისაგან მიიღო დიპლომი „რესპუბლიკის საუკეთესო მეჩაიეს“.

ოლია უშვერიძე და მისი მოწაფეები მოპოვებულ წარმატებებს არ სჯერდებიან. ისინი ამთავითვე ემზადებიან მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის.

— 9.000 კილოგრამი „მწვანე ოქრო“ — ასეთია ოლია უშვერიძის ვალდებულება მომავალი წლისათვის.

ნ. ფარჯანაძე.

წყალტუბოს სარაიონთაშორისო გაზეთ „დროშის“ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე.

ჩაის მესაიდუმლე

აკადემიკოს ქსენია ერმილეს ასულ ბახტაძის სახელს ყველა მეჩაიე და ჩაის ბევრი მოყვარული იცნობს. მთელი თავისი სიცოცხლე მან ჩაის საქმეს მიუძღვნა. მისი გამოყვანილი სელექციური ჯიშების კოლექცია ოც ნომერზე მეტს შეიცავს. თავიანთი ღირსებებით ისინი ყველა არასელექციურ ჩაიზე უკეთესია. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ტყუილად კი არ ისწრაფვიან რაც შეიძლება მალე მიიღონ სელექციური ჩაის თესლი.

— ამჟამად ჩვენში, — ამბობს ქსენია ბახტაძე, — გაშენებულია 235 ჰექტარი სელექციური სათესლე, გაშენება გრძელდება. მაშინ საქართველოს მთელ ჩაის მეურნეობას შეეძლება მთლიანად გადავიდეს ჯიშიანი თესლის თესვაზე.

საზღვარგარეთის ქვეყნებში მაგალითად ინდოეთსა და ცეილონში ჩაის ბუჩქი 20-25 წელიწადს ცოცხლობს, რადგან ტროპიკებში მას ბევრი ავადყოფობა და მავნებელი აზიანებს. საქართველოში ასეთი საშიშროება არ არის, ამიტომ ბუჩქები მეტ ხანს სძლებენ. აჭარაში ძველი პლანტაციები გაშენებულია 50-60 წლის წინათ, ისინი ცოცხლობენ და კარგ ფოთოლს იძლევიან. მაგრამ ახლო მომავალში მაინც საჭირო გახდება მათი განახლება და ამისათვის დროზე უნდა მოვემზადოთ.

— ახლა ყველა ახალი პლანტაცია მხოლოდ სელექციური თესლით უნდა გაშენდეს, — რჩევას იძლევა აკადემიკოსი ქ. ბახტაძე.

აკადემიკოსმა ბახტაძემ უკანასკნელი წლები სასუქებზე ცდებს მოანდომა. ინსტიტუტის ფილიალის სასელექციო სანერგეში იგი სცდიდა ტორფის, ნაკელის, სუპერფოსფატის და ადგილობრივი წითელმიწის კომპოსტების სხვადასხვა ვარიანტს და შესანიშნავ შედეგებს მიაღწია. 1961 წელი მაღალმოსავლიანი იყო, ხოლო 1962 წელს კიდევ ოცი პროცენტით მეტი მოსავალი მიიღეს, წელს უფრო მეტი!

ქსენია ერმილეს ასული დაინტერესდა ჩაის ხარისხითაც. უარესი თუ უკეთესია იგი სასუქებით მცენარეთა გაძლიერებული კვების შემდეგ?

როგორც ცნობილია, ჩაი ფასდება იმით, რაც მეტს შეიცავს ტანინსა და ექსტრაქტიულ ნივთიერებებს. სწორედ ისინი განსაზღვრავენ ჩაის არომატს, სიმაგრეს, სიმწკლარტესა და შეფერილობას. რაც უფრო მეტია ისინი, მით უფრო გემრიელი და სასიამოვნოა ჩაი.

ჩაქვში მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ საკონტროლო არასელექციური მწვანე ჩაი შეიცავს 25,66 პროცენტ ტანინს, ხოლო სელექციური № 1 ჯიში — 28,07 პროცენტს, № 2 ჯიში — 28,14 პროცენტს, № 3 ჯიში — 28,89 პროცენტს. ნარეკორდო იყო სელექციური № 16 ჯიში, — [illegible] 28,57 [illegible] ... ეს [illegible] ... მიღწევა იყო, როგორც დღემდე არსად არავის არ მოუპოვებია.

არანაკლებ მკაფიო სურათს იძლევიან ექსტრაქტიული ნივთიერებანი. საკონტროლო არასელექციური ჩაი შეიცავდა 43,62 პროცენტს ამ ნივთიერებებს, ხოლო სელექციური № 1 ჯიში — 45,76 პროცენტს, სელექციური № 2 — 46,02 და სელექციური № 13 ჯიში — 44,67 პროცენტს.

ამრიგად აღმოჩენილია დიდი რეზერვები ჩაის ხარისხის ამაღლებისა მწვანე ფოთლის მოყვანის დროს.

— ჩვენ ცოდნის პირველწყაროსთან ვართ, — ამბობს ბახტაძე. — მომავალში მეჩაიეებს უდიდესი სიმდიდრის მოცემა შეუძლიათ. მცენარეთა კვება უზარმაზარ რეზერვებს გვპირდება. განსაკუთრებით სელექციური ჩაისა.

ქართულ სელექციურ ჩაიზე დიდი მოთხოვნილებაა საზღვარგარეთაც. უკანასკნელ წლებში ეგვიპტეში, იემენში, იუგოსლავიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ჩინეთსა და ვიეტნამში 600 კილოგრამი საუკეთესო თესლის ნიმუშები გაიგზავნა.

მუშაობა ქართული ჩაის სელექციისა და ხარისხის გაუმჯობესების დარგში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. იგი გულმოდგინედ და ყოველმხრივ წარმოებს. სელექციური ჩაი უდიდეს სიმდიდრეს გვპირდება, დიდია მისი რეზერვები მწვანე ფოთლის მოსავლიანობის გადიდებაშიც და მზა ჩაის ქიმიურ თვისებათა გაუმჯობესებაშიც.

ბ. კლიმიაშვილი.

ფოთლები

მინდა ვუმღერო პატარა ფოთლებს,
მათს სიმწვანეში ოქრო ვიცანი.
ცვარი ახარებს, ქარი ათრთოლებს,
დაკაშკაშებენ სხივნი მზისანი.

როცა ხასხასა ლორთქო დუყები
ამოსკდებიან შტოზე ულევად,
მე პლანტაციის გზას გავუყვები,
ერის სიმდიდრე იქ მეგულება.

ირგვლივ ვარდების გადაწითლებით
ტკბილი მაისი მოვა თუ არა,
ისე სისწრაფით კრეფენ თითები,
თითქოსდა ელვამ გადაუარა.

თავს უფრიალებთ ბუჩქთა
დობილებს
ჩალის ქუდები, როგორც აფრები.
მინდვრებს მრავალჯერ
ომგამოვლილებს
უვლიან გმირი შავთვალწარბები.

დარია თუ ავდარია
მკრეფავები აქ არიან.
მათთან ლექსი გამპარვია,
ჩემი სული აბარია.

ქალო, მაყვალთვალიანო,
ლოყაწითელ-ხალიანო,
შრომაში მკლავმაღლიანო,
ეშხით ნუ მწვავ, ძალიანო!

დარია თუ ავდარია,
ბუჩქი ნატვრის საფარია,
მწვანე ოქრო აბარია,
სილამაზის ლამპარია.

წალკოტს ვუყურებ და მემღერება,
ფიქრსაც აქ უნდა დასადგურება.
გულს თუ სიტყვები სწყდება
ჩქერებად —
ყღერენ პწკარები სალამურებად.

დგას საქართველო — მართლა
ედემი,
ცას მიბჯენია მთათა კრებულით.
ხარობს შვილების შემოქმედებით
თვითონ ვაზივით დამშვენებული.

ვარლამ ჟურული.

ორი ვარსკვლავის კავალერი

ამბავს წინათ ქალაქ ზუგდიდში გამართულ სოფლის მეურნეობის მუშაკთა ზონალურ თათბირზე სხვებთან ერთად ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელიც შეაქეს. ბევრი კარგი სიტყვა ითქვა ორ ოქროს ვარსკვლავის კავალერზე, ნიჭიერ ორგანიზატორსა და სოფლის მოამაგეზე.

როცა ადამიანზე საერთო აზრი შეიქმნება, რომ იგი ენერგიული, დაუზარელი და საქმის მოყვარული კაცია, რა თქმა უნდა, ეს აზრი სწორია. ავტორიტეტი უბრალოდ კი არა, შრომით, ადამიანებთან კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით იქმნება.

ანთიმოზ როგავა ერთი იმათთაგანია, ვინც დაუღალავად, საქმის სიყვარულით ემსახურება სამშობლოს, ხალხს, პარტიას. რამდენიმე ათეული წელია ხელმძღვანელ სამუშაოზეა. ჯერ ახალსოფლის კოლმეურნეობას უძღვებოდა, მერე რუხის კოლმეურნეობის მეთაური იყო, ახლა კი ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორია. სადაც კი წავიდა სამუშაოდ, ყველგან საზოგადოებრივი მეურნეობა წინ წამოსწია და გაამარჯვა. ამიტომ არის, რომ მის მკერდს სოციალისტური შრომის გმირის ორი ოქროს ვარსკვლავი ამშვენებს.

ხეცერის საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაციებზე ყოველთვის აუგს ამბობდნენ: ძველი, ბებერი პლანტაციებია, იაპონური ჯიშის ჩაის ბუჩქებია და მოსავლიანობის გადიდებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ მოხდა ის, რასაც ზოგერთი სკეპტიკოსი არ მოელოდა. წელს ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ჰექტარზე 700 კილოგრამით გადიდდა მოსავლიანობა. მეურნეობამ ნაცვლად 1.530 ტონისა სამშობლოს 1.766 ტონა „მწვანე ოქრო“ მისცა. წელს მეურნეობას გეგმით 97.000 მანეთი მოგება უნდა მიეცა სახელმწიფოსათვის, მაგრამ ამას რიდი დასჯერდნენ. ჯერჯერობით 136.000 მანეთია მოგება.

— მომავალ წელს, — ამბობს ანთიმოზ როგავა, — ჩვენს პლანტაციებსაც ესტუმრება ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა „საქართველო“. მის შესახებ დაიწერა ბევრი. ეს ამბავი ჯერ ადრეა. ეს ერთ-ორ ადამიანს ეკითხებოდეთ. ეს [illegible] ... ეს [illegible] ... ეს [illegible] ...

186.000

ჩაიც, ყურძენიც, ხილიც, მარცვლეულიც!

ᲛᲔᲪᲕᲔᲜᲐᲮᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲘᲗ

ᲨᲠᲝᲛᲐᲛ შექმნა ყოველივე კარგი და ლამაზი, რაც კი ამ ქვეყნად არსებობს. შრომაა სიკეთის დედა. შრომით ვიმარჯვებთ კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე. შრომით აიღეს საქართველოს მეჩაიეებმა შვიდწლედის ზღუდე. ალალი მარჯვენის ნამოქმედარი დაუფასადათ „მწვანე ოქროს“ ოსტატებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებას მთელი რესპუბლიკის მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ.

მშობლიური კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ამ დიდი შეფასებით აღფრთოვანებული სოფლის მშრომელები გულმხურვალე ედ ულოცავენ მეჩაიეებს ახალ დიდ გამარჯვებას. მინდვრის მშრომელებმა, მევენახეებმა, მეხილეებმა, მეცხოველეებმა თავიანთ საპატიო მოვალეობად დაისახეს, რომ უახლოეს მომავალში მხარი გაუწიონ ხავერდოვანი პლანტაციების ოსტატებს, იშრომონ ისე, რომ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მადლობა დაიმსახურონ.

ამ დღეებში რედაქციას ესტუმრა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ერთი ჯგუფი. ისინი ჩვენმა ფოტორეპორტიორმა ფოტოფირზე აღბეჭდა.

სურათზე: (მარცხნიდან) ნ. მამაიაშვილი, ტ. ტყებუჩავა, ნ. ყოჩიაშვილი, თ. ყეფუნია, გ. დალაქიშვილი, გ. მირიჯანაშვილი და ა. წოწოლაშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲠᲐ ᲐᲠ ᲮᲐᲠᲝᲑᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ საწარმოო სამმართველო ძირითადად მეჩაიეობით არის სახელგანოქმული. ასევე ითქმის ჩვენს კოლმეურნეობაზეც. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდეთ. ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ბუნებისაგან მივიღოთ იმის მაქსიმური, რის მოცემაც მას შეუძლია.

ავიღოთ ჩვენი ბრიგადა: წელს 15 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში ჰექტარზე 7,5 ტონამდე ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მივიღეთ.

ჩაისთან ერთად დიდ ყურადღებას ვუთმობთ მესიმინდეობას. წელს 20 ჰექტარი სიმინდი გვითესია. აქედან 5 ჰექტარი სასილოსედ ავიღეთ. ჩავდეთ 140 ტონა საუკეთესო ხარისხის სილოსი. 15 ჰექტარზე გვითესია სამარცვლე სიმინდი. უკვე დავიწყეთ მოსავლის აღება. ჰექტარზე 55 ცენტნერ სიმინდს ვიღებთ.

როგორც ვხედავთ, ჩვენი ბრიგადა მრავალდარგოვანია. ჩვენს მიწაზე ყველაფერი კარგად ხარობს. ამიტომ მხოლოდ ერთი რომელიმე დარგის განვითარება სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს. მესიმინდეობა, მევენახეობა, მეაბრეშუმეობა ხელსაყრელი და მომგებიანი დარგებია. მეჩაიეობასთან ერთად ამ დარგებსაც მომავალში უფრო მეტ ყურადღებას დავუთმობთ. მომავალ წელს ჰექტარზე მივიღებთ 70 ცენტნერ სიმინდს, 80 ცენტნერ ყურძენს, გავადიდებთ შემოსავალს მეაბრეშუმეობიდან.

მომავალშიც ვიშრომებთ ისე, რომ პარტიამ, ხალხმა კვლავ გვითხრას: კარგია! ამით საპატიო წვლილს შევიტანთ საერთო-სახალხო საქმეში.

თამარ ᲧᲣᲤᲣᲜᲘᲐ,

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲨᲗᲐᲒᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲡ

ᲖᲠᲝᲛᲐᲡ დიდი სიხარული მოაქვს ადამიანისათვის. შრომას შორს გაექცა ადამიანის კეთილი სახელი. პარტიამ და მთავრობამ ჩვენს რესპუბლიკას ჩაის ფოინტზე მორიგი გამარჯვება რომ მოულოცეს, ჩემი სოფლისათვის, ჩემი თანასოფელეებისათვის სიამაყე ვიგრძენი. ჩაის ფოინტზე გამარჯვებაში ხომ მათი წვლილიც არის. ცხაკაიას საწარმოო სამმართველოში ჩემი მშობლიური სოფლის კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგებშია, რაც სიხარულს მგვრის. მაგრამ არანაკლებ კმაყოფილებას იწვევს ჩემში რესპუბლიკის სხვა საწარმოო სამმართველოების წარმატებანი, ჩემი ნაცობი თუ უცნობი გმირების მიღწევები სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. ჩვენი, თვითეული ჩვენგანის შრომა ხომ კომუნიზმის დიად საქმეს ხმარდება.

მახსოვს სულ ახალგაზრდამ დავიწყე ჩაის ფოთლის კრეფა. სულ მოკრეფილი მაქვს 275 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“. ეს ჩემი შრომითი საიუქარია საყვარელი სამშობლოსადმი.

მე, როგორც ჩვენი რესპუბლიკის ყველა მეჩაიე, გულით ვატარებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმების სიტყვებს: „საქართველოს სსრ მეჩაიეებს ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის კარგ მაგალითს იძლევიან“.

ეს აღმფრთოვანებს ახალი გამარჯვებებისათვის.

ᲢᲐᲢᲘᲐᲜᲐ ᲧᲣᲔᲑᲣᲩᲐᲕᲐ,

ცხაკაიას რაიონის ზანის უდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲘᲗ

ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ ზვრებიდან მივესალმები და გამარჯვებას ვულოცავ საქართველოს მეჩაიეებს. მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად შეაფასეს მეჩაიეთა გმირული შრომა, მისალმება გამოუგზავნეს და იმედი გამოთქვეს, რომ რესპუბლიკის მშრომელები სასახელოდ შეასრულებენ სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების დავალებასაც.

დიახ, ახლა ჩვენ მარტო ჩაი როდი გვაკმაყოფილებს. საბჭოთა ხალხს უხვად უნდა მივცეთ ჩაიც, ყურძენიც, ხილიც, მარცვლეულიც და მეცხოველეობის პროდუქტებიც.

ველისციხელმა მევენახეებმა უამინდობას სძლიეს. ყურძნის მოსავალი ურიგო როდი გვქონდა. ჩემმა ბრიგადამ ყურძნის მოსავლიანობის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

მაგრამ ეს როდი გვაკმაყოფილებს. ჩვენი ვალდებულებაა მომავალ წელს მოვიყვანოთ ყურძნის, სიმინდისა და თავთავიანი კულტურების უხვი მოსავალი. კოლმეურნეობამ უკვე დაამთავრა საშემოდგომო თესვა და მზრალად ხვნა. ქიმიისა და მოწინავე აგრობიოლოგიის გამოყენებით მომავალ წელს უხვ მოსავალს მივიღებთ და ახალ გამარჯვებას ვუპატაკებთ სამშობლოს.

მ. ᲛᲔᲥᲕᲔᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ,

გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობის მევენახე ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

ᲩᲐᲠᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲥᲐ

რესპუბლიკის საკოლმეურნეო მინდვრებში, ბაღ-ვენახებში, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში. ერთმანეთის მხარდამხარ მუხლჩაუხრელად შრომობენ მევენახეები, მეჩაიეები, მეციტრუსეები, მესიმინდეები, მეჭარხლეები და სხვა დარგის მუშაკები. შრომობენ და ზრდიან ჩვენი რესპუბლიკის ბარაქასა და დოვლათს.

თავის მხრივ საქართველოს სოფლის მეურნეობას თავისი წვლილი შეაქვს ჩვენი დიდი საბჭოთა საშობოლოს სიმდიდრის ბეღლებში. მე უბრალო მშრომელი კაცი ვარ და კარგად ვიცი, რომ რაც უფრო ღონიერი, უხვი მოსავლის მომცემი იქნება თვითეული სასოფლო-საბეურნეო დარგი, მით უფრო ძლიერი იქნება რესპუბლიკა, მით უფრო ძლიერი იქნება ეკონომიურად ჩვენი სამშობლო — საბჭოთა ქვეყანა.

მაგრამ ვინ უნდა შექმნას ქვეყნის ეკონომიური სიძლიერე — სახალხო დოვლათი? მის შესაქმნელად უნდა იზრუნოს, იშრომოს და იბრძოლოს თვითეულმა მშრომელმა, კოლმეურნემ — მევენახე იქნება იგი, მეჩაიე თუ მესიმინდე.

მე მეჭარხლეობის მეორე ბრიგადას ვხელმძღვანელობ გორის რაიონის სოფელ ახალუბნის კოლმეურნეობაში. ბრიგადაში სამი რგოლია, რომლებსაც უნარიანად ხელმძღვანელობენ მ. ელიაური, შ. პეტრიაშვილი, ხ. თვაური. ექვსი ჰექტარი გვაქვს განკუთვნილი შაქრის ჭარხლისათვის. 400 ცენტნერი ჰექტარზე — ასეთია გეგმა; ვალდებულება ავიღეთ 1.000 ცენტნერი მიგვეღო ჰექტარზე. სინამდვილეში მივიღეთ 1.020 ცენტნერი.

წლევანდელი მოსავალი უკვე მიღებული და დაბინავებულია. ეს კარგია, მაგრამ გაინად თავს ხომ არ შევიარცხვენთ! მით უმეტეს, რომ მომავალი წლისათვის ჰექტარზე 1.400 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მოყვანა ვიკისრეთ. მართალია, თვსვა ადრეულ გაზაფხულზე უნდა ვაწარმოოთ, მაგრამ ნიადაგს ამთავითვე უნდა მოვზადდეს.

მთელი ფართობი უკვე მოხნული გვაქვს. მზრალად მოხვნის წინ ნიადაგში შევიტანეთ სუპერფოსფატი. ეს მინერალური სასუქი ძნელად იხსნება, ამიტომ ჩვენი გამოცდილებით ადრევე სჯობს მისი ნიადაგში შეტანა. ზამთრის პერიოდში გაიხსნება და გაზაფხულისათვის მიწას უკვე მთლიანად გაუჯდება. საკმაო რაოდენობით გვაქვს მომარაგებული, როგორც აზოტოვანი სასუქები, ისე კალიუმის მარილი.

მინდა დაბეჯითებით ვთქვა, რომ მომავალ წელსაც პირნათლად შევასრულებთ აღებულ ვალდებულებას. ვამბობ ამ სიტყვებს და ამით ჩვენი ბრიგადის ყოველი წევრის გულისთქმას გამოვსატავ.

გ. ᲛᲘᲠᲘᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

გორის რაიონის სოფელ ახალუბნის მეჭარხლეობის ბრიგადის ბრიგადირი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲐᲦᲚᲘ

ᲫᲐᲠᲗᲚᲘᲡ მკვიდრი ვარ და, ცხადია, გულით შევხარი ხელილს, ხალხის საკეთილოდ რომ გაგვიშენებია ამ პოხიერ მიწაზე. აღმფრთოვანებს ჩემი სამშობლოს ყველა გამარჯვ ადამიანის წარმატება, უსაზღვრო იყო ჩემი სიხარული, როცა ქართველმა მეჩაიეებმა მამაცობით ასახელეს სამშობლო, ქვეყანას მისცეს 186 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. მინდა, ჩვენც, მებაღეებმაც მივბაძოთ მათ. დაკანეაოთ ხილის უხვი მოსავალი.

ქარელის კოლმეურნეობის სიმდიდრეა პური, სიმინდი, ჭარხალი, ვენახი, ხეხილი. სამას თხუთმეტი ჰექტარი ფართობი უჭირავს ჩვენს ბაღებს, აქედან ორმოცი ჰექტარი მსხმოიარეა. პირადად ჩემს რგოლს ოცი ჰექტარი მსხმოიარე და 160 ჰექტარი ახალმსხმოიარე ბაღი აბარია. ბაღს არ ვაკლებთ მზრუნველობას, გულმოდგინედ ვუვლით, ვიცავთ აგროწესებს, დროულად ვატარებთ ყველა ღონისძიებას ხილის უხვი მოსავლის მისაღებად.

ჩინებულად ხარობს ჩვენს ბაღში კეხტრა, შაფრანი, ანტონოვკა, ბანანი, თურაშაული, წითელი და თეთრი კალვილი. გვაქვს აგრეთვე სხვა ჯიშის ვაშლი, მსხლიდან კი ბალამი და ალეესანდრული.

შარშან საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 93 ცენტნერს აღემატებოდა. ზოგიერთმა მეცნარემ 500-900 კილოგრამი ვაშლი მოგვცა. გვაქვს რეკორდსმენიც, ერთ ტონა ვაშლს რომ იძლევა კარგი მოსავლიანობის შემთხვევაში.

სიმართლე რომ ვთქვა, წელს უფრო მეტ მოსავალს ველოდით, მაგრამ არანაკლებ საყურადღებო ბუნებრივმა პირობებმა იმედი არ გაგვიმართლა. მიუხედავად ამისა, მაინც ჩავაბარეთ სახელმწიფოს 65 ცენტნერი ვაშლი თვითეული ჰექტარიდან.

წინ კვლავაც დიდი სამუშაოა.

დღეები არ გვიცდის. ჩვენი მაღალი ვაშლია ხეხილზე ზრუნვა, სამშობლოს ყველა დავალების კეთილშობილური შრომით შესრულება. გულით ვიშრომებთ და იმედს გავამართლებთ.

ა. ᲧᲝᲩᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

ქარელის კოლმეურნეობის მებაღეობის რგოლის ხელმძღვანელი.

ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘ

ᲩᲕᲔᲜᲡ რესპუბლიკაში სწრაფად გავრცელდა სასიხარულო ცნობა. საქართველოს მეჩაიეებმა სასახელოდ აიღეს კიდევ ერთი ახალი ზღუდე. შვიდწლედის მეხუთე წელს მოკრიფეს და სახელმწიფოს მიბაყიდეს 186.000 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“.

მეჩაიეთა ეს დიდი გამარჯვება ბრწყინვალე მაგალითია სოფლის მეურნეობის ყველა შრომელისათვის. მათი წარმატებით ჩვენც, მარცვლეულის, ყურძნისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მომყვანი ადამიანებიც, დიდ სიხარულს განვიცდით. ჩვენ მარტო ჩვენი წარმატებებით როდი ვართ დაინტერესებული. სხვისი მიღწევებიც გვახარებს, გული შეგვტკივა ერთმანეთის საქმიანობაზე.

რესპუბლიკის მეჩაიეთა წარმატება გვასწავლის, რომ ასევე მკვეთრად შეიძლება გავადიდოთ არა მარტო ჩაის, არამედ აგრეთვე მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

ამ მხრივ ჯაფარიძელი კოლმეურნეები წელს ვალში არ არიან. თავთავიანი მარცვლეული კულტურები 2.027 ჰექტარზე გვითესია და, მიუხედავად ცუდი ამინდისა, საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ 29,5 ცენტნერი ხორბლის მარცვალი. ასევე კარგი მოსავალი მივიღეთ სიმინდის ნათესიდან. სახელმწიფოს მივყიდეთ 3.784 ტონა მარცვლეული ნაცვლად 1.500 ტონისა. ასევე დიდი გადაჭარბებით შეავასრულეთ ყურძნის, აბრეშუმის პარკის, მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები.

ჩვენ მიერ მოყვანილი მარცვლეულითა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებით ხარობენ მეჩაიეები. ჩვენ მათ ვულოცავთ მარჯვენას, ისინიც ჩვენ გვილოცავენ წარმატებებს. ყველა ეს მიღწევა მხოლოდ ბეჯითი და თავდადებული მუშაობით არის მოპოვებული. ჩვენი ადამიანების შემოქმედებითმა შრომამ პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახული გეგმების შესრულებისათვის განაპირობა ის დიდი წარმატებანი, რომლებიც მოპოვებულია წელს „მწვანე ოქროსათვის“ ბრძოლაში.

სოფლის მეურნეობის მუშაკებო! გავახაროთ სამშობლო მარცვლეულის, ყურძნის, მეცხოველეობის პროდუქტებისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების სიუხვით ისე, როგორც „მწვანე ოქროს“ მომყვანებმა გაგვახარეს.

ნ. ᲧᲝᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

სიღნაღის რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ცხოვრებაში ბევრი სასიხარულო ამბავი შეხდება; მაგრამ შრომით გამოწვეულ სიხარულს ვერაფერი შეედრება. ეს არც გასაკვირველია. როცა მიწას ებოძები, ბუნების სიჯიუტეს დაძლევ და უხვ მოსავალს მოიყვან, ადამიანისათვის ეს დიდი ბედნიერებაა. პროდუქტების სიუხვეს კი ყოველთვის თან სდევს სიხარული. საქართველოს მეჩაიეთა გმირულ შრომით გამოწვეულ სიხარული უთუოდ საამაყოა.

რესპუბლიკის მეჩაიეებმა მკაცრი გაზაფხულისა და ზაფხულის „უხვირო ამინდის პირობებში დაძლიეს ყოველგვარი სიძნელე, აჯობეს ბუნების სიჯიუტეს და დიდი ოქტომბრის 46-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებში ბრწყინვალე წარმატება მოიპოვეს — გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის ვალდებულებანი. გეგმით გათვალისწინებული 163 ათასი ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 186 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავიანთ მისალმებაში ჩაჩერეს: გამოთქვამთ რწმენას, რომ „საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები ასევე წარმატებით შეასრულებენ სახელმწიფოსათვის მარცვლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის ვალდებულებებს“. დიახ, საქართველოს მშრომელებს ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ პარტიისა და მთავრობის ეს დავალებაც შეეასრულოთ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ დიდ შრომითს გამარჯვებას ზეიმობდნენ არა მარტო მეჩაიეები, არამედ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები.

გულახდილად ვიტყვი, რომ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების რეზერვები ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული. მაგალითონ ჩემმა კოლეგებმა, თუ ვიტყვი, რომ ბევრ კოლმეურნეობაში საუკეთესო მიწები ცდება, მცირეა მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქტიულობა კი იმდენად დაბალია, რომ კოლმეურნეობაში ეს დარგი საზარალოა.

სიღნაღის რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეები დიდზანია ხარობენ თავიანთი მაღალნაყოფიერი შრომის შედეგით. ახლა ჩვენი კოლმეურნეობა იმდენად ღონიერია, რომ ეფექტიანად ებრძოლოს ბუნებრივ სიძნელეებს. ეს ბევრ ადგილზე ასეა. ეს ბევრ ადგილზე ასეა. ეს ბევრ ადგილზე ასეა.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲨᲗᲐᲒᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲡ

ᲖᲠᲝᲛᲐᲡ დიდი სიხარული მოაქვს ადამიანისათვის. შრომას შორს გაექცა ადამიანის კეთილი სახელი. პარტიამ და მთავრობამ ჩვენს რესპუბლიკას ჩაის ფოინტზე მორიგი გამარჯვება რომ მოულოცეს, ჩემი სოფლისათვის, ჩემი თანასოფელეებისათვის სიამაყე ვიგრძენი. ჩაის ფოინტზე გამარჯვებაში ხომ მათი წვლილიც არის. ცხაკაიას საწარმოო სამმართველოში ჩემი მშობლიური სოფლის კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგებშია, რაც სიხარულს მგვრის. მაგრამ არანაკლებ კმაყოფილებას იწვევს ჩემში რესპუბლიკის სხვა საწარმოო სამმართველოების წარმატებანი, ჩემი ნაცობი თუ უცნობი გმირების მიღწევები სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. ჩვენი, თვითეული ჩვენგანის შრომა ხომ კომუნიზმის დიად საქმეს ხმარდება.

მახსოვს სულ ახალგაზრდამ დავიწყე ჩაის ფოთლის კრეფა. სულ მოკრეფილი მაქვს 275 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“. ეს ჩემი შრომითი საიუქარია საყვარელი სამშობლოსადმი.

მე, როგორც ჩვენი რესპუბლიკის ყველა მეჩაიე, გულით ვატარებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმების სიტყვებს: „საქართველოს სსრ მეჩაიეებს ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის კარგ მაგალითს იძლევიან“.

ეს აღმფრთოვანებს ახალი გამარჯვებებისათვის.

ᲢᲐᲢᲘᲐᲜᲐ ᲧᲣᲔᲑᲣᲩᲐᲕᲐ,

ცხაკაიას რაიონის ზანის უდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲐᲦᲚᲘ

ᲫᲐᲠᲗᲚᲘᲡ მკვიდრი ვარ და, ცხადია, გულით შევხარი ხელილს, ხალხის საკეთილოდ რომ გაგვიშენებია ამ პოხიერ მიწაზე. აღმფრთოვანებს ჩემი სამშობლოს ყველა გამარჯვ ადამიანის წარმატება, უსაზღვრო იყო ჩემი სიხარული, როცა ქართველმა მეჩაიეებმა მამაცობით ასახელეს სამშობლო, ქვეყანას მისცეს 186 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. მინდა, ჩვენც, მებაღეებმაც მივბაძოთ მათ. დაკანეაოთ ხილის უხვი მოსავალი.

ქარელის კოლმეურნეობის სიმდიდრეა პური, სიმინდი, ჭარხალი, ვენახი, ხეხილი. სამას თხუთმეტი ჰექტარი ფართობი უჭირავს ჩვენს ბაღებს, აქედან ორმოცი ჰექტარი მსხმოიარეა. პირადად ჩემს რგოლს ოცი ჰექტარი მსხმოიარე და 160 ჰექტარი ახალმსხმოიარე ბაღი აბარია. ბაღს არ ვაკლებთ მზრუნველობას, გულმოდგინედ ვუვლით, ვიცავთ აგროწესებს, დროულად ვატარებთ ყველა ღონისძიებას ხილის უხვი მოსავლის მისაღებად.

ჩინებულად ხარობს ჩვენს ბაღში კეხტრა, შაფრანი, ანტონოვკა, ბანანი, თურაშაული, წითელი და თეთრი კალვილი. გვაქვს აგრეთვე სხვა ჯიშის ვაშლი, მსხლიდან კი ბალამი და ალეესანდრული.

შარშან საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 93 ცენტნერს აღემატებოდა. ზოგიერთმა მეცნარემ 500-900 კილოგრამი ვაშლი მოგვცა. გვაქვს რეკორდსმენიც, ერთ ტონა ვაშლს რომ იძლევა კარგი მოსავლიანობის შემთხვევაში.

სიმართლე რომ ვთქვა, წელს უფრო მეტ მოსავალს ველოდით, მაგრამ არანაკლებ საყურადღებო ბუნებრივმა პირობებმა იმედი არ გაგვიმართლა. მიუხედავად ამისა, მაინც ჩავაბარეთ სახელმწიფოს 65 ცენტნერი ვაშლი თვითეული ჰექტარიდან.

წინ კვლავაც დიდი სამუშაოა.

დღეები არ გვიცდის. ჩვენი მაღალი ვაშლია ხეხილზე ზრუნვა, სამშობლოს ყველა დავალების კეთილშობილური შრომით შესრულება. გულით ვიშრომებთ და იმედს გავამართლებთ.

ა. ᲧᲝᲩᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

ქარელის კოლმეურნეობის მებაღეობის რგოლის ხელმძღვანელი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲐᲦᲚᲘ

ᲫᲐᲠᲗᲚᲘᲡ მკვიდრი ვარ და, ცხადია, გულით შევხარი ხელილს, ხალხის საკეთილოდ რომ გაგვიშენებია ამ პოხიერ მიწაზე. აღმფრთოვანებს ჩემი სამშობლოს ყველა გამარჯვ ადამიანის წარმატება, უსაზღვრო იყო ჩემი სიხარული, როცა ქართველმა მეჩაიეებმა მამაცობით ასახელეს სამშობლო, ქვეყანას მისცეს 186 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. მინდა, ჩვენც, მებაღეებმაც მივბაძოთ მათ. დაკანეაოთ ხილის უხვი მოსავალი.

ქარელის კოლმეურნეობის სიმდიდრეა პური, სიმინდი, ჭარხალი, ვენახი, ხეხილი. სამას თხუთმეტი ჰექტარი ფართობი უჭირავს ჩვენს ბაღებს, აქედან ორმოცი ჰექტარი მსხმოიარეა. პირადად ჩემს რგოლს ოცი ჰექტარი მსხმოიარე და 160 ჰექტარი ახალმსხმოიარე ბაღი აბარია. ბაღს არ ვაკლებთ მზრუნველობას, გულმოდგინედ ვუვლით, ვიცავთ აგროწესებს, დროულად ვატარებთ ყველა ღონისძიებას ხილის უხვი მოსავლის მისაღებად.

ჩინებულად ხარობს ჩვენს ბაღში კეხტრა, შაფრანი, ანტონოვკა, ბანანი, თურაშაული, წითელი და თეთრი კალვილი. გვაქვს აგრეთვე სხვა ჯიშის ვაშლი, მსხლიდან კი ბალამი და ალეესანდრული.

შარშან საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 93 ცენტნერს აღემატებოდა. ზოგიერთმა მეცნარემ 500-900 კილოგრამი ვაშლი მოგვცა. გვაქვს რეკორდსმენიც, ერთ ტონა ვაშლს რომ იძლევა კარგი მოსავლიანობის შემთხვევაში.

სიმართლე რომ ვთქვა, წელს უფრო მეტ მოსავალს ველოდით, მაგრამ არანაკლებ საყურადღებო ბუნებრივმა პირობებმა იმედი არ გაგვიმართლა. მიუხედავად ამისა, მაინც ჩავაბარეთ სახელმწიფოს 65 ცენტნერი ვაშლი თვითეული ჰექტარიდან.

წინ კვლავაც დიდი სამუშაოა.

დღეები არ გვიცდის. ჩვენი მაღალი ვაშლია ხეხილზე ზრუნვა, სამშობლოს ყველა დავალების კეთილშობილური შრომით შესრულება. გულით ვიშრომებთ და იმედს გავამართლებთ.

ა. ᲧᲝᲩᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

ქარელის კოლმეურნეობის მებაღეობის რგოლის ხელმძღვანელი.

ᲐᲕᲐᲕᲡᲝᲗ ᲡᲘᲣᲮᲕᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ მეჩაიეთა გამარჯვებით გამოწვეული სიხარული დიდ ძალად იქცა და მან ახალი შრომითი წარმატებებისათვის აღაფრთოვანა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები. არც თელეთის საბჭოთა მეურნეობა რჩება ვალში. იგი ახალ გამარჯვებებს აღწევს საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, სულ უფრო მეტი რაოდენობით აწვდის დედაქალაქს ახალ მოუხდელ რძეს. წლის ბოლომდე სამშობლოს მივცემთ 10 ათას ცენტნერ რძეს, ანუ 1.500 ცენტნერით მეტს შარშანდელთან შედარებით. გარდა ამისა, წელს სასელმწიფო ბეღელს მივუმატეთ 3.300 ტონა მარცვლეული, დიდძალი ბოსტნეული და სხვ.

ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისა, რომ წლევანდელი სამეურნეო წელი მოგვებით დავამთავროთ. ეს დიდი ნაბეჭდი იქნება იმ საბჭოთა მეურნეობისათვის, რომელმაც 1961-62 წლებში სახელმწიფოს 706 ათასი მანეთი ზარალი მისცა (ახალი კურსით).

რა ღონისძიებები განვახორციელეთ და რის გაკეთებას ვაპირებთ რენტაბელობის მისაღწევად? უწინარეს ყოვლისა, მეურნეობა განვამტკიცეთ კვალიფიციური კადრებით. ახლა აქ ბრიგადირებად და სპეციალისტებად უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები მუშაობენ. დავნერგეთ შრომის სწორი ორგანიზაცია. გადავედით ბრიგადულ სისტემაზე. ამით მოვსპეთ ხელმძღვანელობის ზედმეტი რგოლი, უფრო ახლოს მივედით წარმოებასთან, ადამიანებთან. განზრახული გვაქვს მალე ბრიგადები სამეურნეო ანგარიშზე გადავიყვანოთ.

დავნერგეთ მეცხოველეობის ყველა შრომატევადი სამუშაოს მექანიზაცია. ძირითადად მექანიზებულია მინდვრის სამუშაოებიც. უნარიანად ვიყენებთ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ამაღლებაში კერძიციდებს. და, ბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, შეგვისრულდა დიდი ხნის ოცნება: გადაწყდა მეურნეობის მიწების მორწყვის პრობლემა. უკვე გასარწყავდა პირველი 700 ჰექტარი მიწა. შვიდწლედის ბოლოსათვის ჩვენი მეურნეობის მთელ ფართობს მტკვრის წყალი გააცოცხლებს. ეს მთლიანად შეცვლის როგორც მეურნეობის არეგმარეს, ისე მის ეკონომიკას.

1965 წლისათვის მეურნეობას ეყოლება 4-ჯერ მეტი ძროხები, ვიდრე ამჟამად აყავს, გავაშენებთ 300-300 ჰექტარ ვენახსა და ხეხილის ბაღს, დავთესავთ 240 ჰექტარ ბოსტნეულ კულტურებს. რძის წარმოებაც 4-5-ჯერ გაიზრდება.

ათიოდე დღეა დავბრუნდით კრასნოდარის მხარის უსტ-ლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოდან, სადაც საქართველოს დელეგაციაში ვიყავი გამცდილების გადმოსაღებად. დიდი შთაბეჭდილებები დამჩრა. მართლაც რომ ჰქონიათ საამაყო უსტ-ლაბინსკელებს და ვეცდებით ყველაფერი, რაც კი პროგრესული აქვთ, დავნერგოთ ჩვენს მეურნეობაში. ეს არის, მაგალითად, ნიადაგის დამუშავების მაღალი კულტურა, ხორბლის თესვის გადიდებული ნორმები, მაღალი კლასის თესლით თესვა, ქარსაცავი ზოლების გაშენება, მეცხოველეობის ჯიშობრივი გაუმჯობესება და სხვ.

ვიბრძვით რა სიუხვის თასის ასავსებად, ჩვენ საკუთარ ნაგუეში როდი ვიკეტებით — რითაც შეგვიძლია, დახმარების ხელს ვუწვდით მეგობრებს. მაგალითად, წელს უხეში საკვებით დავეხმარეთ მახარაძისა და ზუგდიდის საწარმოო სამმართველოებს კოლმეურნეობებს. ამ მხრივ არც შემდგომში დავიხევთ უკან. სხვანაირად არც შეიძლება.

გვწამს, რომ მხოლოდ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მუშაკთა ერთიანი ძალით მივაღწევთ პროდუქტების სიუხვეს.

გ. ᲓᲐᲚᲐᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ,

გარდაბნის სპეციალიზებული ტრესტის თელეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.



ᲤᲝᲚᲐᲓᲘᲡ ᲜᲐᲖᲘ ᲗᲘᲗᲔᲑᲘ

ᲩᲐᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲤᲛᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ“ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲓ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲐ

ᲩᲐᲘᲡ მექანიკურად კრეფა საუკუნეების მანძილზე დაუძლეველ პრობლემას წარმოადგენდა და მხოლოდ ოცნების საგნად იყო მიჩნეული. აბა ვინ დაიჯერებდა, რომ 1963 წელი ამ დარგშიც კონსტრუქტორთა ხანგრძლივი და შეუპოვარ

ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი უურნალისტთა მესამე მსოფლიო შეხვედრის მონაწილეებთან უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა, განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში უურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ჰოფმანმა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა, განაგრძო მ. ჰოფმანმა, დაწვრილებით შეიფასა თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები. ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარმა უურნალისტებთან კიდევ მეტი მნიშვნელობა მიანიჭა უურნალისტთა მესამე მსოფლიო შეხვედრას, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა ყველა კონტინენტის უურნალისტთა დაახლოებაში, მათი თანამშრომლობის განმტკიცებაში. თბილისელ „ლიტვით“ მოგზაურობამ, მოსკოვში ყოფნამ და ნ. ს. ხრუშჩოვთან შეხვედრამ, ხაზგასმით აღნიშნა მ. ჰოფმანმა, თანამედროვე მსოფლიოს პრობლემების ცოდნით გაამდიდრა უურნალისტები.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. უურნალისტთა მესამე მსოფლიო შეხვედრას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა, განაცხადა გერმანიის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) უურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. კრაუსმა. მან აღნიშნა, რომ შეხვედრის მონაწილეებმა ცხადყვეს ხალხთა ურთიერთგაგებისა და მშვიდობიანი თანაარსებობისადმი მისწრაფება. ამ შეხვედრამ დაგვანახა, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პრესის მუშაკები მშვიდობისათვის ბრძოლაში. გ. კრაუსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უურნალისტთა მსოფლიო შეხვედრის შესანიშნავი დაგვირგვინება იყო დელეგატების შეხვედრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვთან.

ᲠᲘᲝ-ᲓᲔ-ᲟᲐᲜᲔᲘᲠᲝ. ბრაზილიის საზოგადოებრიობა და პრესა დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას საბჭოთა კავშირ-ბრაზილიის ურთიერთობის გამო, რომელიც მან გააკეთა უურნალისტთა მესამე მსოფლიო შეხვედრის მონაწილეებთან საუბარში. გაზეთები განსაკუთრებით გამოჰყოფენ განცხადების იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკია საბჭოთა კავშირ-ბრაზილიის სავაჭრო ურთიერთობაზე.

ცნობას ამ თემაზე გაზეთი „ულტიმა ორა“ ათავსებს სათაურით: „ხრუშჩოვი ლაპარაკობს ბრაზილიასთან ვაჭრობაზე“.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲓᲘ. ᲐᲮᲚ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲦᲓᲔᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ.

ფოტო ე. ციციაშვილისა.

ᲐᲚᲟᲘᲠᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲖᲔ

ᲐᲚᲟᲘᲠᲘ, 31 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ აქ ეროვნული დღესასწაულის — ალჟირის რევოლუციის დაწყების დღის გამო ზეიმში მონაწილეობის მისალმებად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის ნ. ს. პატოლიჩევის მეთაურობით.

ალჟირის რევოლუციის მეცხრე წლისთავის დღესასწაულზე ალჟირის დედაქალაქში ჩამოვიდა აგრეთვე სკკპ დელეგაცია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრის, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ი. ახუნდოვის მეთაურობით.

ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲐ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ

ᲑᲐᲛᲐᲙᲝ, 30 ოქტომბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა კომუნიკე, რომელსაც ხელს აწერენ სახალხო დემოკრატიული ალჟირის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბენ ბელა, მაროკოს მეფე ჰასან II, მალის რესპუბლიკის პრეზიდენტი მოდიბო კეიტა და ეთიოპიის იმპერატორი ჰაილე სელასიე I.

კომუნიკეში ლაპარაკია შეთანხმებაზე, რომ შეწყდეს ცეცხლი ალჟირ-მაროკოს საზღვარზე ა/წ პირველ ნოემბერს ღამით.

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 31 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ გენერალური ასამბლეის მე-18 სესიის პოლიტიკური კომიტეტის დღის სხდომაზე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა აბდელ ფატაჰ ჰასანმა განიარაღების კომიტეტის მონაწილე 17 ქვეყნის სახელით შეიტანა რეზოლუციის პროექტი ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე.

რეზოლუციის პროექტში აეტორები არიან: ბრაზილია, ბულგარეთი, ბირმა, კანადა, ჩეხოსლოვაკია, ეთიოპია, ინდოეთი, იტალია, მექსიკა, ნიგერია, პოლონეთი, რუმინეთი, შვეიცარია, სსრ კავშირი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები.

პროექტის პრეამბულაში მოწონებით აღნიშნულია, რომ დიდო მოსკოვის ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ. პროექტის ავტორებმა კმაყოფილებით აღნიშნეს აგრეთვე, რომ მოსკოვის ხელშეკრულების პრეამბულაში მხარეებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებას, განაცხადეს, რომ ესწრაფვიან მიაღწიონ ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის სამუდამოდ შეწყვეტას, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ მოლაპარაკება ამ მიზნით. რეზოლუციის პროექტის სარეზოლუციო ნაწილი შეიცავს მოწოდებას ყველა სახელმწიფოსადმი შუეერთდნენ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულებას და მტკიცედ დაიცვან მისი სულისკვეთება და მინაარსი. რეზოლუცია მოუწოდებს მიაღწიონ იმ მიზნებს, რომლებიც დასახულია ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის მოსკოვის ხელშეკრულების პრეამბულაში. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ნ. ტ. ფედორენკომ, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია მხარს უჭერს რეზოლუციის პროექტს. შეეხო რა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში მომავალ მოლაპარაკებას, მან კვლავ ხაზი გაუსვა საბჭოთა კავშირის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ მიწისქვეშა ატომური გამოცდების კონტროლისათვის საკმარისია აფეთქებათა აღმოჩენის ეროვნული საშუალებანი. საბჭოთა წარმომადგენელმა მოუწოდა ყველა დელეგატს ერთხმად მიიღონ რეზოლუციის პროექტი.

ასეთივე მოწოდებით მიმართა კომიტეტს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა.

ᲙᲚᲐᲡᲝᲒᲠᲘᲕᲘ ᲒᲠᲫᲝᲚᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ

მთელ იტალიას მოედო მშრომელთა გაფიცვა, რომლებიც პროტესტს აცხადებენ სიძვირის განუწყვეტელი ზრდის წინააღმდეგ. მილანის, ივრეას, პარმის, მოდენისა და ფორლის შემდეგ პოლონიის მუშებიც გაიფიცნენ. საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა აგრეთვე ქალაქ ფერარაში. 20.000 კაცმა მიიღო მონაწილეობა მიტინგში, რომელიც ქალაქ რეჯო-ემილიის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა. მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მთავრობისაგან მოითხოვენ, რომ სასწრაფოდ განახორციელოს ღონისძიებანი ფასების ზრდის შესაწყვეტად.

31 ოქტომბერს გაფიცვა დაიწყეს იტალიის ყველა ბანკის მუშაკებმა.

ᲡᲚᲠᲕᲐᲓᲐᲡᲚᲬᲐ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲖᲔ

□ **ᲛᲐᲚᲓᲘᲕᲘᲡ** კუნძულების პრემიერ-მინისტრმა ინრაგიმ მოჰამედ ნასირმა წერილი გაუგზავნა ინგლისის ერთა თანამეგობრობისა და კოლონიების საქმეთა მინისტრს დანკენ სენდისს. ნასირი მოუწოდებს ინგლისს გადასინჯოს ხელშეკრულება ინდოეთის ოკეანეში ინგლისის პროტექტორატ მალდივის კუნძულთან და აღიაროს ისინი დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ.

□ **ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ** სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზიდან ვანდენბერგიდან (კალიფორნიის შტატი) 30 ოქტომბერს გაუშვეს საიდუმლო თანამგზავრი. ამ თანამგზავრის გასაშვებად გამოყენებულ იქნა „ტორ-აგენის“ რაკეტების სისტემა. სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლებს არ გამოუცხადებიათ, რომ თანამგზავრი გავიდა ორბიტაზე.

□ **ᲡᲐᲘᲒᲝᲜᲘᲡ** სამხრეთ-დასავლეთით 140 მილზე პარტიზანების უეცარი იერიშის შედეგად ნგოდინდიემელთა რაზმზე, რომელშიც იყო 300 კაცი, დახოცილია „მთავრობის“ ჯარების 31 ჯარისკაცი, 32 კაცი დაჭრილია, 2 ამერიკელი ოფიცერი, „შესაძლოა, ტყვედ წაიყვანეს“.

□ **ᲞᲔᲠᲣᲡ** მთავრობამ განსახილველად გადასცა სენატს კანონპროექტი, რომლის მიზანია პერუში ამერიკის ნავთობის მონოპოლიის „ინტერნეიშნლ პეტროლეუმ კომპანის“ საქმიანობის შეზღუდვა. კომპანიამ უნდა გადაიხადოს გადასახადი, უნდა გადასცეს მთავრობას თავისი მოგების 70 პროცენტი და დაემორჩილოს პერუს კანონებს.

(საკდესი).

ᲕᲐᲨᲘᲜᲓᲢᲝᲜᲘ — ᲙᲝᲠᲣᲞᲪᲘᲘᲡ ᲥᲐᲦᲐᲥᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 31 ოქტომბერი. (საკდესი). „ეს არის ქალაქი, სადაც ადამიანები სხვის ხარჯზე ცხოვრობენ. მსოფლიოს არც ერთ სხვა ქალაქში არ იხარჯება იმდენი ფული იმისათვის, რომ გაართონ, გაუმასპინძლდნენ და გაჯილნენ მოახდინონ რამდენიმე ასეულ ამომრჩეველზე. მსოფლიოს არც ერთ სხვა დედაქალაქს არ ჰყავს იმდენი მოხელე, კულუარული პოლიტიკოსი და კონგრესის წევრი, რომლებიც უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე ხელფასის სახით იღებენ“. ასე ახასიათებს შეერთებული შტატების დედაქალაქს ჯეიმს რესტონი სტატიაში, რომელიც გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა.

ავტორი აღწერს კორუპციის ატმოსფეროს, რაც ვაშინგტონში სუფევს, და აღნიშნავს, რომ აქ „პოლიტიკა ხშირად ხელოვნებაა სამკეთილო სამსახური გაუწიონ კონგრესის წევრს, რომელმაც ხმა მისცა ასე და არა სხვაგვარად, შეუძლია თავისი საარჩევნო ოლქი უზრუნველყოს თავისი ქვეყნის პოლიტიკურ და ფინანსურ ინტერესებს“.

რესტონი აღნიშნავს, რომ ხშირად ამათუ იმ ვაშინგტონელი მოღვაწის ინტერესები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფო ინტერესებს, ზოგჯერ კი ასეთი მოღვაწე მოქმედებს „სხვა, რომელმე ქვეყნების ინტერესებით, რომელიც შეიძლება მის იურიდიულ ფირმას დიდ ჰონორარს უხდის“.

ამგვარი ურთიერთსამსახურის, ბანკებისა და სხვის ხარჯზე საზღვარგარეთ მოგზაურობის ატმოსფეროში, ავტორის აღიარებით, „მორალური სტანდარტები ვაშინგტონში სავსებით დარღვეულია“.

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲖᲔ

□ **ᲛᲐᲚᲓᲘᲕᲘᲡ** კუნძულების პრემიერ-მინისტრმა ინრაგიმ მოჰამედ ნასირმა წერილი გაუგზავნა ინგლისის ერთა თანამეგობრობისა და კოლონიების საქმეთა მინისტრს დანკენ სენდისს. ნასირი მოუწოდებს ინგლისს გადასინჯოს ხელშეკრულება ინდოეთის ოკეანეში ინგლისის პროტექტორატ მალდივის კუნძულთან და აღიაროს ისინი დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ.

□ **ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ** სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზიდან ვანდენბერგიდან (კალიფორნიის შტატი) 30 ოქტომბერს გაუშვეს საიდუმლო თანამგზავრი. ამ თანამგზავრის გასაშვებად გამოყენებულ იქნა „ტორ-აგენის“ რაკეტების სისტემა. სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლებს არ გამოუცხადებიათ, რომ თანამგზავრი გავიდა ორბიტაზე.

□ **ᲡᲐᲘᲒᲝᲜᲘᲡ** სამხრეთ-დასავლეთით 140 მილზე პარტიზანების უეცარი იერიშის შედეგად ნგოდინდიემელთა რაზმზე, რომელშიც იყო 300 კაცი, დახოცილია „მთავრობის“ ჯარების 31 ჯარისკაცი, 32 კაცი დაჭრილია, 2 ამერიკელი ოფიცერი, „შესაძლოა, ტყვედ წაიყვანეს“.

□ **ᲞᲔᲠᲣᲡ** მთავრობამ განსახილველად გადასცა სენატს კანონპროექტი, რომლის მიზანია პერუში ამერიკის ნავთობის მონოპოლიის „ინტერნეიშნლ პეტროლეუმ კომპანის“ საქმიანობის შეზღუდვა. კომპანიამ უნდა გადაიხადოს გადასახადი, უნდა გადასცეს მთავრობას თავისი მოგების 70 პროცენტი და დაემორჩილოს პერუს კანონებს.

(საკდესი).

ᲐᲛᲬᲔ „ᲩᲐᲘᲓᲐᲜᲘ“



ფუნჯი მხატვრისა, ჩანს, ამას ჰქვია,—
ლამაზი, როგორც მზის აღმოხდომა,—
ერთ კალათაში რომ დაატია,
ჩაის ბარაქა და შემოდგომა.

არის შვიდწლედი! ჩვენ უკვე
მზად ვართ
ავიღოთ ძლევით ზღუდე ახალი.
ცაც რომ ქალალდად წინ ედოს
მხატვარს,
ვერ დაატოის ტილოზე ხვავი.

შვილივით ვზარდეთ დუყები ნაზი,
ცეცხლი შევუნთეთ ქართულ
ჩაიდანს.
ვინც გავახარეთ ქართული ვაზით,
მას გავახარებთ ქართულ ჩაითაც.

მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ა. თ. გორკინის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი. პლენუმმა მოისმინა მოხსენებები იმ მიზეზებისა და პირობების გამოვლენებისა და აღმოფხვრისათვის სასამართლოების საქმიანობის გაძლიერების საკითხზე, რომლებიც ხელს უწყობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების აქტებს.

მიღებულ გადაწყვეტილებაში პლენუმმა აღნიშნა, რომ სოციალისტური საკუთრების დატაცების საქმეებზე საჯარო სასამართლო პროცესების მოწყობას, სასამართლო პროცესების ფართო გაშუქებას პრესაში, საზოგადოებრიობის წარმომადგენლთა ჩაბმას საქმეთა სასამართლო გარჩევაში დიდი გამაფრთხილებელი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

პლენუმმა სასამართლოებს მიუთითა, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების თავიდან აცილების ღონისძიებანი მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტიანი, თუ სასამართლოები დროულად გაარჩევენ საქმეებს, გამოიტანენ დასაბუთებულ განაჩენებს და ბოროტ დამტაცებლებს შეუფარდებენ კანონით გათვალისწინებული სასჯელის მკაცრ ზომებს, გამოავლენენ ყველა პირს, ვინც მონაწილეობდა დატაცებაში.

სასამართლოებს წინადადება მიეცათ მჭიდრო კავშირი დაამყარონ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტებთან და ხელშემწყობ ჯგუფებთან, უფრო ფართოდ გამოიყენონ საზოგადოებრიობის ძალები.

პლენუმმა აგრეთვე მოისმინა მოხსენებები სასამართლო პრაქტიკის შესახებ იმ სახლების, აგარაკებისა და ნაგებობების აუნაზღაურებელი ჩამორთმევის საქმეებზე, რომლებიც მოქალაქეებმა არაშრომითი შემოსავლით შეიძინეს, არამდე ის ნაგებობანიც, რომლებიც სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა თუ სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების სახსრების უკანონო გამოყენების გზით ააშენეს.

მიღებულია დადგენილება „სასამართლო პრაქტიკის შესახებ ზარალის ანაზღაურების საჩჩელის გამო“.

პლენუმმა მოისმინა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. ვ. კულიკოვის ინფორმაცია სასამართლოების მდგომარეობის შესახებ 1963 წლის პირველ ნახევარში. პლენუმმა აღნიშნა, რომ კვლავ კლებულობს სასამართლობა, მათ შორის მძიმე დანაშაულობათა გამოც.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა ზოგიერთი უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეებმა, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეებმა. (საკდესი).

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲛᲝᲠᲬᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ“ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ. ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ ᲐᲠᲘᲐ ᲒᲘᲠᲩᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲠᲖᲝᲕᲐ.

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲣᲠᲗᲔᲑᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ შედგა კიდევ ექვსი შეხვედრა ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ქალჯგუფის გუნდებისათვის.

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ „სპარტაკმა“ გუშინდელ მატჩში „შახტიორთან“ სასეზონო შედეგს ვერ მიაღწია, დონეცკში დაკარგა ქულა შეხვედრის ფრედ — 1:1 დამთავრებით.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ დედაქალაქში მინსკის დინამოელებს ბრძოლა ჰქონდათ თავიანთ კიეველ თანაკლუბელებთან. ერთად-ერთმა ბურთმა გატანილმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით კიეველებს 2 ქულა მოუტანა.

ᲓᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ სკა თბილისიდან მოსკოვს ეწვია, მაგრამ „ტორპედოსთან“ მატჩში წარმატება არ ჰქონია — 1:2.

ᲙᲘᲔᲕᲘ ორი ქულა ჩაიწერეს აქტიფში ლენინგრადის დინამოელებმა. საკუთარ მოედანზე მათ დაამარცხეს ერევნის „არარატი“ 4:1.

ᲨᲔᲣᲙᲝᲕᲐᲠᲘ აღმოჩნდა ასპარეზობა ბაკოში „ნეფტიანიკისა“ და კუბიშევის „კრილია სოვეტოვის“ გუნდებს შორის. ორთმა გოლმა ბაქოელებს ორი ქულა მოუტანა.

ᲔᲥᲕᲡᲘ ბურთი იქნა გატანილი კიშინიოვის „მოლდოვასა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ მატჩში. აქედან 4 გოლის ავტორები იყვნენ კიშინიოველები.

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲬᲐᲠᲣᲛᲐᲢᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲝᲠᲘ ქულის დაკარგვამ საკუთარ მოედანზე როსტოველებთან თბილისის დინამოელთა სატურნირო მდგომარეობა შეარყია. წონასწორობის აღდგენაზე ფიქრი მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა თუ თბილისელები ლიდერთან — მოსკოვის „დინამოსთან“ პაექრობაში სასურველ შედეგს მიაღწევდნენ.

ეს მატჩი შედგა გუშინ მოსკოვში.

შეხვედრის ბედი ფაქტიურად პირველ ტაიმში გადაწყდა. აშკარად იგრძნობოდა მასპინძელთა ინიციატივიანი, ტემპიანი ბრძოლა, რასაც მოჰყვა კოტრიკაძის კარის ორჯერ ალება. ეს მოხდა მე-7 და მე-15 წუთებზე. პირველი გოლის ავტორი იყო ფადეევი, მეორესი — გუსაროვი.

„დინამოს“ თავდამსხმელთა რიგებში მხოლოდ მესხი გამოირჩეოდა, იგი იბრძოდა არა მარტო ფლანგზე, არამედ ცენტრშიც, მაგრამ მისი ჩაწოდებები ვერ გამოიყენეს პარტნიორებმა. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ჩაწოდების შემდეგ ბარქაია ხუთ მეტრზე პირისპირ აღმოჩნდა იაშინთან, მაგრამ ვერ გამოიყენა.

მეორე ტაიმში ბრძოლა ნაკლებად საინტერესო იყო. მეტოქეებს დამატებით ბურთი არ გაუტანიათ. ანგარიში 2:0 მოსკოველთა სასარგებლოდ არ შეცვლილა, თბილისელებმა კვლავ წარუმატებლობა განიცადეს.

თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში იყვნენ — კოტრიკაძე, სიჭინავა, ხუციკლავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, დათუნაშვილი, მეტრეველი, ბარქაია, მაისურაძე (მელაშვილი), მესხი.

ᲤᲠᲔ ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲢᲐᲨᲘ

ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲨᲘ წარემატებლობის შემდეგ ქუთაისის ტორპედოელები ალმა-ატას ეწვევნენ და გუშინ საკავშირო პირველობაზე შეხვდნენ „კაირატის“ ფეხბურთელთა კოლექტივს. ოთხმოცდაათმა წუთმა ისე გან�, რომ მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ.

საბრძოლო ფრე — 0:0.

ᲚᲘᲓᲘᲠᲘᲐ 3. ᲡᲛᲘᲡᲚᲝᲕᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში გაიმართა ვ. რაგზინის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირის მესამე ტური ჭადრაკში.

საინტერესოდ წარიმართა მსოფლიოს ექს-ჩემპიონის სმისლოვისა და იუგოსლავიელი გროსმაისტერის მატანოვიჩის პარტია, რომელიც ყაიმით დამთავრდა. ყაიმზე შეთანხმდნენ აგრეთვე ჰორტი და პადევსკი. საბმამ დაამარცხა ვლადიმიროვი.

სამი ტურის შემდეგ ლიდერობას ინარჩუნებს სმისლოვი, რომელსაც 2.5 ქულა აქვს.

ᲘᲡᲘᲜᲘ ᲠᲝᲛᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲐᲜ

ᲡᲡᲠ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ ევროპის ფეხბურთის ასოციაციების კავშირის სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის 22 მოთამაშის განაცხადი სია გაუგზავნა. ეს მოთამაშეები 10 ნოემბერს რომში მონაწილეობას მიიღებენ სპასუხო მატჩში ევროპის თასზე იტალიის ნაკრებ გუნდთან.

ამ სიაში შევიდნენ: მეკარეები ლ. იაშინი — „დინამო“ (მოსკოვი) და რ. ურუშაძე — „ტორპედო“ (ქუთაისი), მცველები ა. შესტერნევი (არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბი), ა. კორნეევი და ა. კრუტკოვი — „სპარტაკი“ (მოსკოვი), ლ. ოსტროვსკი — „დინამო“ (კიევი), ე. მუდრიკი და ვ. გლოტოვი — „დინამო“ (მოსკოვი), ვ. შუსტკოვი — „ტორპედო“ (მოსკოვი), ნახევარდამცველები — ა. ბიბა — „დინამო“ (კიევი), ვ. ლოგოფეტი — „სპარტაკი“, ვ. კოროლენკოვი — „დინამო“ (მოსკოვი), ვ. ვორონინი — „ტორპედო“ (მოსკოვი), თავდამსხმელები — ი. ჩისლენკო და გ. გუსაროვი — „დინამო“ (მოსკოვი), ვ. ივანოვი — „ტორპედო“ (მოსკოვი), ს. მეტრეველი და მ. მესხი — „დინამო“ (თბილისი), ვ. პონედელნიკი — არმიის სასპორტო კლუბი (დონის-როსტოვი), ე. მალაფეევი — „დინამო“ (მინსკი), გ. ჭუსაინოვი — „სპარტაკი“ და ვ. სერებრიანიკოვი — „დინამო“ (კიევი).

რომში ჩასვლამდე, სადაც ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართება ეს მატჩი, საბჭოთა ფეხბურთელები ჩავლენ საფრანგეთის ქალაქ ტულუზაში. აქ 6 ნოემბერს ჩვენი ნაკრები გუნდი საკონტროლო მატჩში შეხვდება ადგილობრივ გუნდს — საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერს.

(საკდესი).

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

	თ.	გ.	ქ.
„დინამო“ (მ.)	33	44—14	48
„სპარტაკი“ (მ.)	34	57—28	46
„ზენიტი“ (ლ.)	37	45—31	45
„დინამო“ (კ.)	34	65—42	43
„დინამო“ (ძნ.)	35	42—27	43
„ნეფტიანიკი“ (ბ.)	35	47—40	43
„დინამო“ (თბ.)	34	49—36	42
„სკა“ (როსტ.)	34	62—37	41
„ცსკა“	34	32—21	40
„ტორპედო“ (მ.)	34	44—35	38
„შახტიორი“ (დ.)	35	26—30	33
„ტორპედო“ (ქ.)	34	21—34	30
„დინამო“ (ლ.)	37	37—47	29
„ლოკომოტივი“ (მ.)	34	34—43	28
„კაირატი“ (ალმ.)	34	23—45	27
„მოლდოვა“ (კიშ.)	34	25—43	26
„კრ. სოვეტ.“ (კუიბ.)	35	39—48	26
„ავანგარდი“ (ხ.)	37	25—55	25
„არარატი“ (ერ.)	34	32—51	24
„პახტაკორი“ (ტ.)	35	34—76	17

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა საერთაშორისო მატჩი ხელბურთში ჩეხოსლოვაკისა და საქართველოს გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ანგარიშით 23:19.

ᲗᲘᲗᲘ ᲕᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმმა მოისმინა ანგარიში სსრ კავშირის ჟურნალისტთა სრულიად საკავშირო სემინარის „საბჭოთა პრესა და ხალხთა ლენინური მეგობრობის“ შედეგების შესახებ.

პრეზიდიუმზე აღინიშნა, რომ სემინარმა მაღალ იდეურ და ორგანიზაციულ დონეზე, საქმიან შემოქმედებითი ვითარებაში ჩაიარა. სემინარზე საბჭოთა კავშირის ჟურნალისტებმა ერთმანეთს გაუზიარეს ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის, ეროვნებისა და ურთიერთობის საკითხების საბჭოთა პრესის ფურცლებზე გაშუქების გამოცდილება.

თავის დადგენილებაში პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ჟურნალისტთა სრულიად საკავშირო შემოქმედებითი სემინარის აქტიური მომზადებისა და მოწყობისათვის მადლობა გამოუცხადა გაზეთების „კომუნისტის“, „ზარია ვოსტოკას“, „სოვეტაკან ერასტანის“, „სოფლის ცხოვრების“ რედაქციების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის, საქალთსის, გაზეთების „თბილისის“, „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქციათა მთელ რიგ მუშაკებს, ფოტოცინეკოგრაფიის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის „კომუნისტისა“ და „ზარია ვოსტოკას“ სტამბების მუშაკებს.

პრეზიდიუმმა მადლობა გამოუცხადა აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორს ი. სარიშვილსა და სა